თუნდაც თქვენგან ვინმემ აიღოს თავისი თოკი, მოიტანოს შეშის კონა ზურგით, გაყიდოს იგი და ამით ალლაჰმა მისი სახე (სიღატაკისგან) დაიცვას – ეს მისთვის უკეთესია, ვიდრე ის, რომ ხალხს სთხოვოს, მისცენ თუ არა

აზზუბეირ იბნ ალ 'ავვაამ(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუნდაც თქვენგან ვინმემ აიღოს თავისი თოკი, მოიტანოს შეშის კონა ზურგით, გაყიდოს იგი და ამით ალლაჰმა მისი სახე (სიღატაკისგან) დაიცვას – ეს მისთვის უკეთესია, ვიდრე ის, რომ ხალხს სთხოვოს, მისცენ თუ არა».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ადამიანისთვის უკეთესია ნებისმიერი შრომით დაკავდეს, თუნდაც თოკი აიღოს, შეშა მოაგროვოს, ზურგით ატაროს, გაყიდოს და ამით ირჩინოს თავი, ან დაახარჯოს ქველმოქმედებას, რათა არ გახდეს სხვაზე დამოკიდებული და არ დამცირდეს თხოვნით, ეს მისთვის უკეთესია, ვიდრე ხალხისგან თხოვნა, მისცემენ თუ არა. რადგან ადამიანებისგან მუდარა დამცირებაა, ხოლო მორწმუნე პატივდებულია და არა დამცირებული.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3785